ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 3-19/0118068746-17

"08." 06. 2018 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, ჭუჩა ნუცუბიძე №129-ში (საკ. კოდი №01.14.02.025.127) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №3655192 02.11.2017წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქუჩა ნუცუბიძე №129-ში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

ავტოსადგომის გეგმა: x1-x4 მონაკვეთში y1' ღერძის გარეთ პანდუსის მიმდებარედ კედლების ფორმა ნაწილობრივ არ შეესაბამება საპროექტოს. გაზრდილია პანდუსის სიგრე და შემცირებულია სიგანე. y1' და y2 ღერძებთან x1-x4 მონაკვეთში პანდუსებზე დამატებით მოწყობილია ცხაურები. ნაწილობრივ შეცვლილია კოლონების ფორმა. y1-y2 და x6'-x7' მონაკვეთების კვეთაზე მდებარე კედელს მონაცვლებული აქვს ადგილი y1 ღერძისკენ. დამატებით მოწყობილია რიგელები.

გეგმა -4.2 ნიშნულზე: შეცვლილია პანდუსისთვის განკუთვნილი ღიობების გაბარიტები. შეცვლილია ავტოსადგომის ფილის გაბარიტები. ასევე დამატებით მოწყობილია სატელიტური ანტენები.

ფასადები: აივნებზე დამატებით მოწყობილია გათბობის დანადგარები დამწოვი მილებით და კარადები. წყალშემკრები მილების გაბარიტები ნაწილობრივ არ შეესაბამება საპროექტოს.

x1-x7 ფასადი: შეცვლილია ფანჯრის და კარების ვიზუალი.

ფასადები: შეცვლილია წყალშემკრები მილების ვიზუალი.

ფასადი x1- x7: -2.85 ნიშნულზე შეცვლილია ფანჯრის და ვიტრაჟების ნახატი.

ფასადი x7- x1: 39.60 ნიშნულზე აივნებზე ნაწილობრივ შეცვლილია კარ-ფანჯრების ადგილმდებარეობა, ამავე ნიშნულზე x7 და x1 ღერძებთან ფანჯრების ნაცვლად მოწყობილია კარ-ფანჯრები.

ფასადი y1- y8: y6 ღერძთან გაუქმებულია ღიობი.

ფასადი y8- y1: 39.40 ნიშნულზე y7-y6 მონაკვეთში გაუქმებულია კედელი.

y8-y1 და y1-y8 ფასადებზე აივნების ვიზუალი არ შეესაბამება საპროექტოს. მინაბლოკებში დამატებით მოწყობილია გამჭვირვალე ფრამუგები.

გეგმები:

-8.8 ნიშნულზე: x3 და x4' ღერძების მიმდებარედ y1-y1' მონაკვეთში შემცირებულია კოლონებს და კედლებს შორის მანძილი.

36.6 ნიშნულზე: x3-x4 მონაკვეთში y7- y6 ღერძებს შორის დამატებით მოწყობილია მონოლითური კედელი.

39.6 ნიშნულზე: სამანქანოებში შეცვლილია ღიობების ადგილმდებარეობა.

კიბის უჯრედებში ნაწილობრივ შეცვლილია საფეხურების რაოდენობა. შეცვლილია ტერიტორიის კეთილმოწყობა და არ არის სრულად მოწყობილი გამწვანება.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე მუხლის, ა.ს.კ. მე-2 მუხლის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 62-ე მუხლის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის

მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ი.მ.ა. „ნუცუბიძე 2014"-ს, ქ. თბილისში, ქუჩა ნუცუბიძე №129-ში (საკ. კოდი №01.14.02.025.127) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №19/0118068746-17 09.03.2018წ. განცხადება.
№წ-19/0118068746-17 12.03.2018წ. ბრძანება.

სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი გეჯაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მუნიციპალური ინსპექცია

წერილის ნომერი: **17-01182982370**
თარიღი: **25/10/2018**
პინი: **8108**

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ადრესატი: კახაბერ გოზალიშვილი
პირადი ნომერი: 01001008356
მისამართი: თბილისი გლდანი VI მ/რ კორ. 29 ბ. 65

თქვენი N19/01182912018-17 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, ქუჩა ნუცუბიძე N129-ში (საკ. კოდი N01.14.02.025.127) მდებარე ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) გადამოწმებით დადგინდა, რომ Nბ-19/0118068746-17 ბრძანებაში მითითებული დარღვევებიდან გამოსწორებულია შემდეგი: „ფასადი y8-y1: 39.40. ნიშნულზე y7-y7 მონაკვეთში გაუქმებულია კედელი''; „y8-y1 da y1-y8 ფასადებზე მინაბლოკებში დამატებით მოწყობილია გამჭვირვალე ფრამუგები''. ასევე მოწყობილია გამწვანება პროექტის შესაბამისად.

დამატებით გაცნობებთ, რომ Nბ-19/0118068746-17 ბრძანებაში დაშვებულ იქნა ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ არასწორად მიეთითა დარღვევა „ფასადი x7-x1 39.60 ნიშნულზე აივნებზე ნაწილობრივ შეცვლილია კარ-ფანჯრების ადგილმდებარეობა, ამავე ნიშნულზე x7 x1 ღერძებთან ფანჯრების ნაცვლად მოწყობილია კარ-ფანჯრები'', ვინაიდან აღნიშნული დარღვევა გათვალისწინებულია N3655192 02.11.2017წ. ბრძანებით შეთანხმებულ არქიტექტუქტურულ პროექტში.

პატივისცემით,

გიორგი გეჯაძე

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი